# დემონტაჟის ორგანიზების პროექტი

- პროექტირება
- მშენებლობა
- დიზაინი

**ობიექტი:** სსიპ სერგეი მესხის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. რიონის საჯარო სკოლის ამორტიზირებული დამხმარე სათავსოები

**მისამართი:** წყალტუბოს რაიონი სოფ. რიონი

**მესაკუთრე:** სახელმწიფო

შ.პ.ს. მალის დირექტორი — მ. კაკაბაძე

MALI-2013


შ.პ.ს. მალი
მობ. 599 20 40 75 ტ. 0 431 23 03 80
kakabadze52@inbox.ru 0 431 27 39 99
მისამართი: ქ.ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ. №7


ქუთაისი 2017

29.06.37.085



20 m
100 ft





მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 29.06.37.085

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| N 882015484668 - 26/08/2015 13:27:02 | 02/09/2015 12:58:51 |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| წყალტუბო | რიონი | | |
| 29 | 06 | 37 | 085 |

მისამართი: რაიონი წყალტუბო , სოფელი რიონი

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 15420.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:29.06.04.001;

შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი:N 01 განაშენიანების ფართობი-819,7 კვ.მ, საერთო ფართი-1624,0 კვ.მ, N 02განაშენიანების ფართობი-38.8 კვ.მ, საერთო ფართი-32.6 კვ.მ, N 03განაშენიანების ფართობი-40.6 კვ.მ, საერთო ფართი-35.6 კვ.მ, N 04განაშენიანების ფართობი-22,8 კვ.მ, საერთო ფართი-16,2 კვ.მ.

## მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 292004000703 , თარიღი 23/08/2004

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ცნობა-დახასიათება N217 , დამოწმების თარიღი:19/09/2004 , წყალტუბოს ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახური
- ბრძანება N1/3-618 , დამოწმების თარიღი:06/08/2015 , სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრი
- წერილი N13/12089 , დამოწმების თარიღი:03/04/2014 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- სარეგისტრაციო მოწმობა N217 , დამოწმების თარიღი:19/09/2004 , წყალტუბოს ტექინვენტარიზაციის ტერიტორიული სამსახური

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

## იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

## შეზღუდული სარგებლობა

| | |
|---|---|
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015484668 თარიღი 26/08/2015 13:27:02** | მოსარგებლე: სსიპ სოფელ რიონის საჯარო სკოლა<br>მესაკუთრე: სახელმწიფო;<br>საგანი:არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 15420.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N 01 განაშენიანების ფართობი-819,7 კვ.მ, საერთო ფართი-1624,0 კვ.მ, N 02განაშენიანების ფართობი-38.8 კვ.მ, საერთო ფართი- 32.6 კვ.მ, N 03განაშენიანების ფართობი-40.6 კვ.მ, საერთო ფართი-35.6 კვ.მ, N 04განაშენიანების ფართობი- 22,8 კვ.მ, საერთო ფართი-16,2 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 29.06.37.085); |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/09/2015** | **მომართვა N13/49351, დამოწმების თარიღი14/08/2015, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრი,** |

---

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

---

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

KA021710595435915

**საქელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**

**NATIONAL AGENCY**
OF STATE PROPERTY

ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ.5

N13/49351

**14 / აგვისტო / 2015 წ.**

სსიპ სერგეი მესხის სახელობის
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ რიონის საჯარო სკოლის
დირექტორს მაგდა ბაქრაძეს

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 30 მარტის N1/1-1082 ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 01 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-3 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრი თანახმაა გადმოგეცეთ და ისარგებლოთ წყალტუბოში, სოფელ რიონში მდებარე შენობა-ნაგებობით: N01 განაშ. ფართი- 819.7 კვმ. საერთო ფართით - 1624.0 კვმ. N02 განაშ. ფართი – 38.8 კვმ. საერთო ფართი - 32.6 კვმ. N03 განაშ. ფართი – 40.6 კვმ. საერთო ფართი - 35.6 კვმ. N04 განაშ. ფართი – 22.8 კვმ. საერთო ფართი - 16.2 კვმ. და მასზე დამაგრებული 15420.0 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით (მიწის (უძრავი ქონების) ს/კოდი N29.06.37.085) არსებობის ვადით.

იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის
მომსახურების ცენტრის უფროსი

ირაკლი რაზმაძე

საქართველო
„შ ა რ მ ი"
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

# მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი




...ვიური გეგმა
მ=1:5000



მასშტაბი: 1:2000

| | |
|---|---|
| მისამართი: სოფელი რიონი | ფართობი: 15420.0 კვ.მ. |
| დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო | კატეგორია: |
| პირობითი აღნიშვნები<br>შენობა, შენობის ნომერი, სართულიანობა.<br>სერვიტუტი<br>ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი<br>მშენებარე ნაგებობა<br>შენიშვნა: ნაკვეთის საზღვრები დატანილია დამკვეთის მითითებით: | შ.პ.ს. „შარმი"<br>საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი: მერი კუჭავა<br>დაინტერესებული პირი: სსიპ წყალტ. მუნიც.ს. რიონის საჯარო სკოლის დირექტ. მოვალ. შემსრ: მაგდა ბაქრაძე |

| მიწის ნაკვეთის მისამართი | ფართობი | დანიშნულება |
|---|---|---|
| წყალტუბო: სოფელი რიონი | ფართობი: 15420.0კვ.მ. | არასასოფლო სამეურნეო |

| შენობა-ნაგებობის რიგითი № | დანიშნულება | მდგომარეობა მშენებარე, (აშენებული) | სართულიანობა | საერთო ფართობი | განაშენიანების ფართობი |
|---|---|---|---|---|---|
| 01 | სკოლის შენობა | აშენებული | 2 | 1624.0 კვ.მ. | 8198.7 კვ.მ. |
| 02 | ტუალეტი | აშენებული | 1 | 32.6 კვ.მ. | 38.8 კვ.მ. |
| 03 | საქვაბე | აშენებული | 1 | 35.6 კვ.მ. | 40.6 კვ.მ. |
| | | | | | |

| მოსაზღვრე ნაკვეთების მართლზომიერი მფლობელები /მესაკუთრეები/ | არსებობა |
|---|---|
| 1 | რუსუდან ხარაბაძე |
| 2 | |
| 3 | |

| საკადასტრო აღწერაზე დამსწრე პირები | სახელი, გვარი |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| | |

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი — მერი კუჭავა
მისამართი / საკონტაქტო ინფორმაცია—წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25 ტელ 5(99) 14 -29- 93
0(436) 22- 21 -67

| დაინტერესებული პირი: | პირადი ნომერი |
|---|---|
| სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: მაგდა ბაქრაძე | 53001034626 |

საკადასტრო აღწერის თარიღი: 14.03.2014 წელი

ულებამოსილი პირი: ______ (მერი კუჭავა) ბ.ა.

დინტერესებული პირი: ______ სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: მაგდა ბაქრაძე
(ხელმოწერა)

# განმარტებითი ბარათი

პროექტით გათვალისწინებულია წყალტუბოს რაიონს სოფ. რიონში საჯარო სკოლის ამორტიზირებული დამხმარე სათავსოების საქვაბესა და ტუალეტის დემონტაჟი.

დემონტაჟის ორგანიზების პროექტი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" , საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების - ტექნიკური რეგლამენტი "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები"ს და სამშენებლო ნორმებისა და წესების ს.6. და წ. 3.01.01.-85 „მშენებლობის ორგანიზაციის“მიხედვით.

არსებული შენობების სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი გათიშვა ელექტრო მომარაგების, ბუნებრივი აირით მომარაგების, წყალმომარაგებისა და საარინებლების ძირითადი საინჟინრო-კომუნალური ქსელებიდან, მაგრამ გათიშვამდე მინიმუმ 10 დღით ადრე დამკვეთმა უნდა შეატყობინოს შესაბამის ძირითად საინჟინრო-კომუნალური ქსელების მფლობელ კომპანიებს გათიშვის შესახებ. მათ უფლება აქვთ გათიშვის პროცესს გაუწიონ ტექნიკური ზედამხედველობა.

სამუშაოს დაწყებამდე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების წესების დაცვაზე. უსაფრთხოების დაცვის წესები და პროცედურები, აგრეთვე მათი დაცვისათვის პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებები დგინდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით საქართველოს კანონის შესაბამისად.

დემონტაჟის დაწყება დასაშვებია სათანადო ორგანოებიდან ნებართვის აღების შემდეგ. მშენებლობაზე ყველა დროებითი ელექტრული დანადგარისა და ქსელის მოწყობა უნდა შესრულდეს მოქმედი ელექტრო ტექნიკური წესებისა და ნორმების, აგრეთვე უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვით.

არსებული შენობები ერთსართულიანია . გადახურულია ასაკრები ღრუტანიანი ფილებით, კედლები თეთრი სილიკატური აგურის. ღრუტანიანი კედლები დაწყობილია კედლებზე რკ/ბ მონოლითური სარტყელის გარეშე. ფილების მოსახსნელად ამწის შერჩევა მოხდეს შენობის სიმაღლის - ღრუტანიანი ფილის მაქსიმალურის მასის მიხედვით, რომელიც არ აღემატება 3 ტონას. ტერიტორიული კატალოგის (TK 3-3.87) ის მიხედვით. გამოყენებული იქნეს ავტოამწე KC 35-71 ან იგივე წარმადობის თანამედროვე ტექნიკა. დემონტაჟი უნდა განხორციელდეს მიწის დონეზე. ტერიტორია გასუფთავდეს სამშენებლო ნაგვისაგან და მოსწორდეს.

სადემონტაჟო ფართია №1 – 38.8 მ$^2$ და №2 – 40.6 მ$^2$

საკადასტრო რუკის მიხედვით ნაკვეთის ფართია - 15 460.0 მ$^2$.

დემონტაჟის ხანგრძლივობა განისაზღვროს 2 თვით,

სამშენებლო მოედანზე შესვლა უნდა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული უნდა იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა

სამშენებლო მოედანზე უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმადი საინფორმაციო დაფა.

სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება საქართველოს მთავრობის №62-

28.03.07 დადგენილებით „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“ და ს.ნ. და წ III-4-80 მიხედვით.

მშენებლობის უსაფრთხოების წესები ვრცელდება მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ ობიექტზე შესასრულებელ სამუშაოებზე და განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზესაჭიროა დაცულ იქნეს ყველა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები თანახმად „ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას“ ს.ნ. და წ 2.01.02-91-ის მიხედვით.

მშენებლობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სამუშაოთა წარმოების დროს.

დემონტაჟის დროს მომუშავეებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, ხოლო სპეციალური სამუშაოები უნდა შესრულდეს სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით.

მშენებლობის ყველა ობიექტზე უნდა იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უბანი და ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრავმატიზმის შესაძლებლობა.

სამშენებლო მოედანზე საჭიროების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით განსაკუთრებით ამწის მუშაობის დროს.

მშენებლობაზე მომუშავეთა სამუშაო-ჰიგიენური პირობების დაცვისა და შრომის სწორი ორგანიზებისათვის გამოყენებული იქნეს სკოლის დამხმარე სათავსოები და WC.

სამშენებლო მოედანზე წარმოების პროცესში აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

იკრძალება ნარჩენებისა და სამშენებლო ნაგვის გადმოყრა დახურული ღარებისა და ბუნკერ-მაგროვებლების გარეშე.

ფხვიერი სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირების დროს ავტომანქანის ძარაში ჩატვირთვის შემდეგ ზედაპირი უნდა დაინამოს ან დაიფაროს დამცავი საფარით.

სამშენებლო მოედნიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოსვლის წინ საჭიროა მათი საბურავების გარეცხვა, რათა ადგილი არ ქონდეს ქუჩების დაბინძურებას.

მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს, შესაბამისი დოკუმენტის ავტორს (შემსრულებელს) და მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელ პირს

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

**1. მისამართი**

რაიონი წყალტუბო, სოფელი რიონი

**2. შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება**

ერთსართულიანი ამორტიზირებული შენობების დემონტაჟი

**3. ნებართვის გამცემი ორგანო**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

4. **შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/გაბარიტები**

ერთსართულიანი